

ქართული და ბუხარელი ებრაელები ვენაში

შესავალი

ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის ფონოარქივი დაფუძნდა 1899წ. და ითვლება მსოფლიოს უძველეს კვლევით ფონოგრაფიულ არქივად. მისი მიზანია ბგერითი ჩანაწერების შეგროვება, დაცვა, შეფასება, შექმნა და მეცნიერული გამოყენების უზრუნველყოფა. ბგერითი ჩანაწერების შინაარსი შედგენილია სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინებიდან, ყოველგვარი რეგიონული შეზღუდვის გარეშე. ტერმინი “სამეცნიერო ბგერითი ჩანაწერი” გამოიყენება იმ აკუსტიკური წყაროების აღსანიშნავად, რომლებიც მიღებულია შემონახვისა და დოკუმენტირების შედეგად. ფონოარქივის საქმიანობა მოიცავს არქივირებას, ტექნიკურ დაცვასა და შენახვას. არქივირება გულისხმობს ჩანაწერის გარდაქმნას გამოკვლევისათვის გამოსადეგ წყაროდ, სათანადოდ დაზუსტებული, დანვრილებითი დოკუმენტაციით. ტექნიკური დაცვა აუდიოვიზუალური არქივის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, ხოლო შენახვა გულისხმობს შეგროვებული ჩანაწერების კომპეტენტურ მოვლას.

არქივის კოლექციები შექმნილია:

— კვლევითი პროექტებიდან, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ინსტიტუტები და სხვადასხვა სფეროს ინდივიდუალური მკვლევრები ფონოარქივის ტექნიკური და მეთოდური ხელშეწყობით;

— არქივის კურატორების შერჩეულ სფეროებში თანამშრომლების მიერ განხორციელებული პროექტებიდან, რომლებიც ემყარება ახალ თემატიკას და მეთოდებს;

— არქივის მხარდაჭერის გარეშე შექმნილი აუდიო და ვიდეო კოლექციებიდან და იმ ისტორიული ჩანაწერებიდან, რომლებიც სხვა არქივებიდან არის გადმოწერილი არქივის ლაბორატორიაში ან არქივის მხარდაჭერით.

პროექტი, რომელსაც ჩვენ აქ წარმოვადგენთ, განეკუთვნება არქივის კოლექციების მეორე ჯგუფს — ესაა თანამშრომლების პროექტი. მას შემდეგ, რაც გადავწყვიტეთ მოგვექცია ეს პროექტი “Gemeinde Wien” პროგრამის ფარგლებში, მოვარგეთ იგი იმ მიზნებს, რომლებიც უკვე ჰქონდა ვენაში დაწყებულ პროექტს და რომლის თანახმად, აუდიოზე და ვიდეოზე უნდა დაფიქსირებულიყო ცალკეული კულტურული მოვლენების მნიშვნელოვანი მიმდინარე პროცესები. სხვადასხვა კულტურული ნიმუშების შეგროვების მიზნით, დაარსდა მონაცემთა საერთო ფონდი, რათა შეგვესწავლა მულტიკულტურული, მეტწილად უცნობი, მოვლენები ქალაქურ გარემოში. ამ საგანგებო ამოცანის შესასრულებლად გვინდოდა ბუხარელი ებრაელების გვერდით ვყოფილიყავით წლების განმავლობაში, ყურადღებით შეგვესწავლა მათი რელიგიური დღესასწაულები. ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ჩამო-

სული ბუხარელი და ქართველი ებრაელები გაერთიანებულნი არიან ერთ სეფადრიკულ ცენტრში ვენაში; ვაკვირდებოდით რა ბუხარელ ებრაელებს ერთი წლის განმავლობაში, ჩვენ გადავწყვიტეთ გაგვეგრძელებინა დაკვირვება ქართველ ებრაელებზე.

ამ პროექტის მთავარი მიზანი იყო აუდიოვიზუალური ნყაროების შეგროვება და სხვადასხვა ხასიათის კვლევისათვის მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ჩვენთვის მთავარი საკითხი იყო: როგორ ცხოვრობს აქ ეს თემი? რა შეხედულება აქვთ მათ თავიანთ კულტურაზე, რომელიც ასე ახლოა რელიგიასთან და იმ რეგიონთან, საიდანაც არიან? როგორი გამოცდილება შეიძინეს მათ ახალ დიასპორაში გაერთიანებით?

რატომ შევარჩიეთ ებრაული თემები?

ფონორაქივის მასალების გაცნობისას აღმოვაჩინეთ ებრაული კულტურის — კერძოდ მუსიკისა და მეტყველების ჩანერის ხანგრძლივი ტრადიცია. იგი დაიწყო 1907 წლის ჩანანერებით, რომელიც მიეძღვნა ბალკანეთის სეფადრიკულ ტრადიციებს. ასევე ცნობილი კოლექციაა აბრაჰამ ზვიდელსონის კოლექცია — ჩანანერები, გაკეთებული იერუსალიმში 1911 და 1913 წლებს შორის. „იდელსონის ჩანანერების პროექტი დაიბადა ახალი თაობის დიდი ძალისხმევით, რომელიც მიზრუნდა დიასპორიდან “Yishuv“-ში და შეიკრიბა მთელი მსოფლიოდან პალესტინაში“, — ამბობს ფილიპ ბოლმენი (2005: 18) და დასძენს: „Yishuv“-ში ყველაფერი იყო შესაძლებელი — ახალი ენა, ახალი პოლიტიკა, ახალი ლიტერატურა და ახალი მუსიკალური კულტურა — მაგრამ ამ ტრადიციების შეკრების მთავარი საფუძველი გახდა ზღვარის გავლება ძველსა და ახალს შორის“. ამიტომ, ჩანანერები ორიენტირებული იყო აღმოსავლეთის ებრაელებზე, არაბებსა და ზოგიერთ ქრისტიანულ თემზე; იდელსონს ძირითადად აინტერესებს ყველა ამ რელიგიური ჯგუფის ლიტურგიული ტრადიციები ისევე, როგორც ქალაქური არაბული მუსიკის — მაკამის სისტემა, როგორც აღნიშნავს ედვინ სერუსი (2005: 52). იდელსონის კოლექცია შეიძლება მივაკუთვნოთ იმ დოკუმენტაციის ძალიან ადრეული საფხურს, რომელიც ეძღვნება ებრაელების კულტურულ განშტოებებს მულტი-კულტურულ გარემოში, კერძოდ, იერუსალიმში. მსგავსი მეცნიერული მოსაზრებები მეტნაკლებად გვხვდება ჰელგა ტიელის პროექტში, რომელიც ჩამოყალიბდა “Gemeinde Wien“-ის მიერ ადრეულ 1990-იან წლებში და შეეხებოდა “ებრაულ თემს ვენაში“ და „ისრაელ ადლერის მემკვიდრეობას“, სინაგოგის ადრინდელ მთავარ მომღერალს. ახლახან დაწყებული კვლევითი პროექტი, მოიცავს რა პოლონელი ებრაელების სინაგოგური საგალობლების რესტავრაციისა და უკრაინაში ებრაული მუსიკის საკითხებს, შეავსებს ებრაული კულტურის არქივს. ვინაიდან ჩვენი კვლევის უმეტესი ნაწილი მიმდინარეობდა ქალაქურ გარემოში (ვენაში), ვფიქრობთ, სასურველი იყო გამოგვეკვლია ის, თუ რას გრძნობენ ებრაელები, როგორც სეფადრიკული ტრადიციების მატარებლები — განსხვავებით აშკენაზებისაგან, რომელთა ტრადიციებიც დღემდე ძირითადად შესასწავლ ობიექტს წარმოადგენენ.

სეფადრიკული ცენტრი

იგი შეიცავს სამ ქვეჯგუფს — ქართველ, კავკასიელ ანუ Tat ებრაელებს და ბუხარელ ებრაელებს. როცა ეს თემები დასახლდნენ ვენაში, ძირითადად აშკენაზები იყვნენ აქტიურები „Israelitische Kultusgemeinde“ ფარგლებში; ამიტომ აზიურ-რუსულმა ებრაულმა ჯგუფმა ჩამოაყალიბა სეფადრიკული ასოციაცია. ადრეული 1880-იანებიდან ბუხარელი ებრაელები თავის თემს უწოდებენ სეფადრიკულს და არა ბუხარულს (Galibov 2001: 133). მათ IKG-ში მიღების იმედი ჰქონდათ იმ შემთხვევაში, თუ აუბამდნენ მხარს სეფადრიმის მიერ ჩამოყალიბებულ თემს. ბუხარელი ებრაელების შემთხვევაში ტერმინი “Sephadric” აღნიშნავს მხოლოდ მათ რიტუალურ განვერძინებას; მას არაფერი აქვს საერთო სეფადრიმთან, რომელიც ცხოვრობდა ესპანეთში და 1492 წელს განიდევნა. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან გამოსული ამ სამი თემის მთავარი მიზანია საკუთარი Sephadric ცენტრის დაფუძნება. თავდაპირველად მოღვაწეობდნენ რა ე.წ. „რუსულ კლუბის“ ფარგლებში (იხ. Galibov 2001: 126-127), მათ მხარს უჭერდა ორგანიზაცია “Chabad”, რომელმაც კულტურული და რელიგიური მოღვაწეობისთვის დაარსა ახალი ცენტრი Lauder-Chabad კამპუსი, რომელიც მოიცავს სკოლასა და სინაგოგას.

მოკლე ისტორია

ბუხარელი ებრაელების თემი შემთხვევით დაარსდა. არც მათ ლტოლვას ავსტრიისა ან ვენისადმი, და არც ვენელი ებრაელების დახმარებას არ უთამაშია მნიშვნელოვანი როლი ამ ფაქტში. სულაც არა! ის ებრაელები, რომლებსაც ისრაელში ემიგრაციის ნება დართეს, გასვლის ნებართვის მიღების ხანგრძლივი მცდელობის შემდეგ გაემგზავრნენ ვენის გავლით. ვენა იყო სატრანზიტო ქალაქი. იმ ბუხარელი ოჯახებიდან, რომლებიც ისრაელში ჩავიდნენ 1971 წ., ზოგიერთი რელიგიური მოტივებით ხელმძღვანელობდა, მაგრამ მათ მალე აუცრუვდათ გული „აღთქმულ მინაზე“. ომის დროს ზოგიერთმა ბუხარელმა ოჯახმა ხანმოკლე ყოფნის შემდეგ დატოვა ისრაელი: მათ უნდოდათ საკუთარ სახლებში დაბრუნება ცენტრალურ აზიაში, ტაშკენტში, ბუხარაში, ბიშკეკში, დუშანბეში და ა.შ. მიუხედავად ამისა, გზად უკან დაბრუნებისას, ვენაში, ისინი მიხვდნენ, რომ აღარ შეუშვებდნენ საბჭოთა კავშირში, რის გამოც მოითხოვეს თავშესაფარი. ამიტომ თემის ძირითად ბირთვს წარმოადგენენ ისინი, ვინც პირველმა აღიარა ვენა, როგორც ახალი სახლი, მას შემდეგ, რაც წარუმატებელი აღმოჩნდა საბჭოთა კავშირში დაბრუნების მცდელობა. მას მერე, რაც დაიშალა საბჭოთა კავშირი, 1980-იან წლებში, თემი გაიზარდა ბოლო ემიგრაციული ტალღით — დღე სდღეობით ბუხარელი ებრაელები შეადგენენ სიდიდით მეორე და ერთ-ერთ სიცოცხლისუნარიან თემს “Israelitische Kultusgemeinde”-ს ფარგლებში.

ვენაში მყოფი სხვა ახალმოსახლეებისგან განსხვავებით, ბუხარელები წარმოაჩინენ ოჯახურ კონსოლიდაციას. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, ბუხარაში არსებული ოჯახის ტრადიციული სტრუქტურაა, და მეორე მხრივ კი ის, რომ ებრაელები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ოჯახს.

ბუხარული ტრადიციები, ბუხარული კულტურა

პიტერ პინხაროვი წერს ებრაელების ისტორიის შესახებ: „მსოფლიოს უამრავ თემს შორის არის ერთი, რომელიც 2000 წელზე მეტია ასრულებს და იცავს თავის რელიგიურ და ეროვნულ თვისებებს. ამ თემის ებრაელები ავითარებენ საკუთარ ინდივიდუალურ კულტურას, თან ერთდროულად მჭიდროდ მისდევენ ებრაულ პრინციპებს და სწამთ, რომ ერთხელაც დაბრუნდებიან ისრაელის მიწაზე. ამ ებრაელებს ეწოდებათ ბუხარელი ებრაელები“. კარგადაა ცნობილი, რომ ბუხარამ (შემდგომ მას ეწოდა ტრანსოქსანია), რომელიც მუსლიმებმა დაიპყრეს 709 წ., მიაღწია კულტურულ ზენიტს ამ დროისათვის. ბერჰარდ ლუისი საუბრობს მე-9-11 სს. „ისლამურ-ებრაულ კულტურაზე“ (იხ. Kejda 1995:20). მაგრამ დრო იცვლება, მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის ნათელია ახლანდელი ფარული (ებრაული) კულტურის სახეცვლილება. როდესაც პირველი ბუხარელი ებრაელები ჩავიდნენ ვენაში, ადგილობრივმა ებრაელებმა მათ რელიგიურად “არანამდვილი” ებრაელები უწოდეს; ამიტომ მათთვის აუცილებელი იყო ერთიან ებრაულ თემში გაერთიანება. გრიგორ გალიბოვის მიხედვით, ერთ-ერთმა პირველმა ემიგრანტებმა და ძალიან აქტიურებმა თემის ორგანიზებაში — ბუხარულმა თემმა ნაბიჯ-ნაბიჯ გადაწყვიტა ინტეგრაციის პრობლემა; დღესდღეობით, მათ ევროპის ფარგლებში საკუთარი ტრადიციებისა და კულტურის დაცვის ხანგრძლივი ტრადიცია აქვთ. ისინი ყოველთვის ცდილობდნენ დარჩენილიყვნენ თორას ერთგულნი და მიეღოთ ევროპული ცხოვრების წესი. გალიბოვი ამ თემის განვითარებაში ხედავს ცენტრალური აზიის ებრაელების ახალ “Galut”-ს, ახალ დიასპორას ცენტრალურ ევროპაში (Galibov 2001: 15).

კულტურული მოღვაწეობა ნათლად წარმოჩინდება ენასა და მუსიკალურ პრაქტიკაში. სხვადასხვა ენების გამოყენების უნარი თემის საინტერესო სურათს გვიხატავს. ძველი თაობები, რომლებიც დიდი ხნით არ დარჩენილან ისრაელში, ჯერ კიდევ საუბრობენ “Tajikit”-ზე — ძველ სპარსულ დიალექტზე (Kejda 1995: 165), მაგრამ ყველაზე ფართოდ გავრცელებული ენაა რუსული, რომელსაც, ყველაზე ცოტა, ორი თაობა მაინც იყენებს; ახალგაზრდები სწავლობენ გერმანულს, რომელიც მნიშვნელოვანია ახალი დიასპორის საფუძველის ჩასაყრელად. ბევრი ახალგაზრდა ასევე საუბრობს Hebrew-ზე (თანამედროვე ივრითი), იმიტომ, რომ ზოგიერთს იგი ნასწავლი აქვს ისრაელში ხანგრძლივი ყოფნის დროს, ზოგი კი დაეუფლა ვენაში, უპირატესად ებრაული რელიგიისადმი მიძღვნილი გაკვეთილების კურსში. მუსიკალური პრაქტიკაც მსგავს სურათს გვიჩვენებს. ტრადიციული სიმღერები „ბუხარულ დიალექტში“ (როგორც თემი უწოდებს) წარმოდგენილია მხოლოდ სცენაზე; თანამედროვე პოპულარული სიმღერები დასავლური გავლენებით, ძირითადად, რიტმისა და ტემპრის სფეროში, კარგადაა ცნობილი, უყვარს მსმენელს და ასევე შეადგენენ წარმოდგენების მნიშვნელოვან ნაწილს.

კულტურული მოვლენების ორგანიზება

ამ მოკლე გამოკვლევის მეშვეობით ჩვენ დავადგინეთ, რომ საგანმანათლებლო და კულტურულ მოღვაწეობაზე, ძირითადად, ბუხარელი ებრაელების მხოლოდ ორი ორგანიზაცია — “Verein” და “Kongress” არის პა-

სუხისმგებელი. “Verein” არის უძველესი დაწესებულება, რომლის მიზანია ბუხარული თემისა და მისი ტრადიციების დაცვა. ამავდროულად მისი კარები ღიაა სხვა ებრაული ჯგუფებისათვის, მულტი-ეთნიკური ვენური მოსახლეობისათვის, სთავაზობს რა კულტურულ ცოდნას ორივე მხარეს: თემის წევრსაც და არაწევრსაც. “Kongress”-ი სამი წელია, რაც წარმოიქმნა “Verein”-დან. იგი ფოკუსირებულია ორივე — ებრაულ და ბუხარულ რელიგიურ ტრადიციებზე. აღსანიშნავია, რომ “Kongress”-ში აქტიურად მუშაობენ ახალგაზრდა ბუხარელები. ისინი ორგანიზებას უწევენ მოვლენებს, რომლებიც ყოველთვის იწყება რელიგიური ქადაგებით, რასაც მოსდევს სხვადასხვა ტიპის გართობები. ლექციების წასაკითხად იწვევენ ცნობილ რაბინებს, ასევე არტისტებს (მეტწილად ისრაელიდან), რომლებიც წარმოადგენენ საკუთარ პროგრამას.

წარმოვადგენთ სამ მოკლე ვიდეო კლიპს, ჩანერილს ორ მნიშვნელოვან დღესასწაულთან — Shawu’ot და Rosh Hashanah დაკავშირებით. პირველია ქალთა თეატრის წარმოდგენა, რომელიც შიგადაშიგ წყდება ტრადიციული სიმღერებით. მეორე ნიმუში ასევე წარმოგვიდგენს ტრადიციულ ლექსებს ტრადიციული დოლის, ბარბითის, დაირის აკომპანემენტით. ახალ ბუხარულ სიმღერებს კი ძირითადად ცნობილი მომღერლები ასრულებენ.

დასკვნები

ტრადიციულ წარმოდგენებს აუდიტორია თავშეკავებით ხვდება, ზოგჯერ ხალხი ტოვებს კიდევაც დარბაზს; თანამედროვე მუსიკას კი პირიქით — ენთუზიანთით უკრავენ ტაშს. შეიძლება, ამის გამო ვიფიქროთ, რომ თანამედროვე გავლენა შეცვლის ორიგინალურ ტრადიციას მანამ, სანამ იგი საბოლოოდ არ გადაშენდება? კერძო საუბრებში გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ ძირითადად ახალგაზრდა თაობა იღებს მკაცრ ზომებს ტრადიციების შესანარჩუნებლად. “Kongress”-ი ატარებს ბუხარული ენის კურსებს, რათა ძველი სიმღერების ტექსტები მაინც გახდეს გასაგები მსმენელისთვის; ის ასევე აწყობს შეხვედრებს უფროსებთან, სადაც სწავლობენ ამ სიმღერების შესრულებას. კითხვაზე, როგორ აღიქვამენ საკუთარ თავს ბუხარელი ებრაელები, თემის წევრებმა თავიანთი თავი დაახასიათეს, როგორც ებრაელები, მხოლოდ სპეციფიკური — ბუხარელი ებრაელები. ეს განცხადება ხაზს უსვამს ბუხარიანიზმის განსაკუთრებულ ხარისხს, რომელიც ასახავს მათ იდენტურობას და რომელსაც შეიძლება ეწოდოს მრავალმდგენილი (შერეული) იდენტურობა (Csáky 2004: 29) და მოიცავს მათ მეხსიერებას დროისა და ადგილის ცვლებადობაში. მეხსიერების ეს ორაზოვნება არის ფენომენი, რომელიც ხაზს უსვამს ამ პროექტის განმავლობაში გაკეთებული აუდიოვიზუალური ჩანაწერების შესწავლის შედეგად მიღებულ ერთ დასკვნას — იდენტურობა არასოდესაა სტატიკური და პერსონალური, პრაქტიკულად — არც ამ სპეციფიკურ შემთხვევაში, რომელიც ტიპურია დღევანდელ მულტი-ეთნიკურ ქალაქურ გაერთიანებაში; პირიქით — ეს პროცესია. შესაძლოა, ჩვენ უფრო კარგად ჩავწვდებით ბუხარელი ებრაელების მეხსიერებას, თუ თვალს გავადევნებთ მათ გრძელ და ცვალებად ისტორიას: საზოგადოების მნიშვნელოვანი წევრებიდან სოციალურ

დეენილებამდე, რამაც ისინი საკუთარი წარმომავლობის დაფარვამდე მიიყვანა, რომ არ ელიარებინათ საკუთარი ებრაელობა. ემიგრაციის ტკივილიანი გამოცდილებისა და ახალი დასაწყისის შემდეგ ისინი ახლა იხსენებენ და უბრუნდებიან თავიანთ ფესვებს. ის, რაც მათ ამ გზაზე ახსენდებათ დამოკიდებულია სოციალურ მდგომარეობაზე და დაკავშირებულია კოლექტიურ ცნობიერებასთან, როგორც უნოდებს მას კსაკი (2004: 29). პროცესი ახლაც გრძელდება. ჩვენც გავაგრძელებთ ამ პროექტს, მეტ მოვლენას, შეხვედრასა თუ გაკვეთილს დავაფიქსირებთ, დავსვამთ ახალ კითხვებს კულტურული ურთიერთქმედების ახალი ასპექტების გამოსავლენად და შევეცდებით, მოვძებნოთ პასუხები, მუსიკის მნიშვნელობის, მისი მოსმენისა და შექმნის ემოციით დაბადებული გრძნობების გათვალისწინებით.

ქართველ ებრაელთა ტრადიცია და კულტურა

საკუთრივ ქართველებს თუ არ ჩავთვლით, ებრაელები ერთ-ერთი პირველი ერია, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან დასახლდა. ისტორიული ცნობებით, ისინი განსახლებული იყვნენ საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, თუმცა ზოგიერთ ადგილას (თბილისი, სურამი, სამტრედია, ონი...) ებრაელები კომპაქტურად იყვნენ დასახლებული. 1969 წლის 6 აგვისტოს ქართველ ებრაელთა თვრამეტმა ოჯახმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მიმართა თხოვნით, გავლენა მოეხდინათ საბჭოთა მთავრობაზე, რათა მათთვის ისრაელში დაბრუნების ნება დართოთ. ეს იყო საბჭოთა კავშირში ალიას მოძრაობის პირველი დოკუმენტი, რომელიც მსოფლიოს ფართო საზოგადოებისათვის გახდა ცნობილი.

1971-1972 წლებში დაახლოებით 2000 ოჯახი აიყარა საქართველოდან. პირველი ქართველი ებრაელები ჩამოვიდნენ ვენაში, რომელიც საშუალებდო პუნქტი იყო. შემდეგ კი, ნაწილი ისრაელში დასახლდა, ნაწილი ამერიკაში წავიდა. ნაწილი კი ავსტრიაში დარჩა და ვენაში დასახლდა.

ებრაელები საქართველოში 26 საუკუნის მანძილზე ცხოვრობდნენ. მათ გაითავისეს ქართული კულტურა, ქართული ადათ-წესები. როგორც ცხოვრობენ, როგორც ტრადიცია აქვთ ქართველ ებრაელებს ავსტრიაში და რა შეიცვალა მათ კულტურაში? ქართველი ებრაელები ავსტრიაში რაოდენობრივად არც ისე ბევრნი არიან, როგორც ბუხარელი ებრაელები. ავსტრიაში ქართველ ებრაელთა დაახლოებით 200 ოჯახი ცხოვრობს, ჰყავთ 1 ან 2 ბავშვი - ესეც ქართული ტრადიციაა. საქართველოში იავნანას უმღეროდნენ ბავშვებს. აქაც იავნანას უმღერიან შვილებს. თუმცა ზოგიერთი ადათ-წესი იცვლება. მაგალითად, თუ ადრე ოჯახში დაუპატიჟებლად მიხვიდოდი (როგორც საქართველოში), თანდათან, დროთა ვითარებაში ყველაფერს ოფიციალური ფორმა მიეცა — წინასწარი შეთანხმების გარეშე სტუმრად ვერ მიხვალ; ამ ახალი წესის დაცვა განსაკუთრებით უფროს თაობას უჭირს. ურთიერთობის გასაადვილებლად შემდეგი გადანყვეტილება მიიღეს: შაბათობით უფროსი თაობის ქალბატონები სადილის შემდეგ სინაგოგაში მათთვის სპეციალურად გამოყოფილ ოთახში იკრიბებიან. მოდის რაბინის ცოლი, კითხულობენ ნაწყვეტებს ძველი აღთქმიდან და იმართება დისკუსიები, ზოგჯერ დისკუსიები სხვა თემებზეც ტარდება.

2003 წელს ვენაში ჩამოყალიბდა „ქართველ ქალთა ფორუმი“ (Georgisches Frauen Forum, GFF), რომლის პრეზიდენტი ირმა პანი. ფორუმის ძირითად საქმიანობას შეადგენს სხვადასხვა დარგის სპეციალისტების მიწვევა და ლექციების ჩატარება, რომლებიც ზოგჯერ პატარა საკონცერტო ნომრით მთავრდება. მაგალითად, ერთ-ერთ ლექციაზე — „რისთვის არის საჭირო საზღვრები“ — ერთ-ერთმა ქართველმა სტუმარმა (ლექციებს სხვადასხვა ერის წარმომადგენელი ესწრებოდა) სპონტანურად ქართული სიმღერა წამოიწყო და შემდეგ, დამსწრეთა მოთხოვნით, კიდევ რამდენიმე ქართული სიმღერა იმღერა. მოეწყო 8 მარტის საღამო. მონვეულნი იყვნენ როგორც ებრაელები, ასევე რუსი, ავსტრიელი სტუმრები. საღამო კონცერტის ფონზე მიმდინარეობდა. რუსულ, ქართულ, ებრაული სიმღერებს ასრულებდნენ ქართველი და კაზაკი მომღერალები.

აღსანიშნავია ქართველ ებრაელთა კიდევ ერთი - „ქართულ-ებრაული საზოგადოება“, რომელსაც ლეო რიჟინაშვილი ხელმძღვანელობს. მასვე ეკუთვნის კომერული რესტორანი, რომელშიც ქართული და ებრაული კერძები მზადდება.

ბავშვთა მუსიკალური განათლება

თბილისში მუსიკალური განათლება საყოველთაო, ლამის სავალდებულო იყო, განსაკუთრებით — ფორტეპიანოზე დაკვრა. ავსტრიაში შედარებით გვიან იწყება ფორტეპიანოზე დაკვრის სწავლება. განსხვავებული მდგომარეობაა ავსტრიაში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა შორის: მათი მესამე თაობის ბავშვები (მათი უმეტესობა 6 - 10 წლისაა) ინტენსიურად ეუფლებიან ფორტეპიანოზე დაკვრას, ძირითადად კერძო გაკვეთილებით (როგორც ავსტრიაშია მიღებული). ბავშვთა მცირე რაოდენობა სწავლობს მუსიკალურ სკოლაში. ქართველ ებრაელთა შორისაც პოპულარულია როზა გილკაროვის სკოლა (Jehuta Halwi). ეს ყველაფერი, ერთი მხრივ, ალბათ, იმით აიხსნება, რომ ავსტრიაში მუსიკა არ ითვლება ბავშვებისთვის სავალდებულოდ, მეორე მხრივ კი — ასიმილაციით. მესამე თაობა შედარებით ასიმილირებულია, ფესვები უფრო გამყარებულია და ქართველი ებრაელები თავს უფლებას აძლევენ, ძველ ტრადიციას დაუბრუნდნენ.

ხსენებულ გილკაროვის სკოლაში რამდენიმე თვეა, ქართული ცეკვის გაკვეთილებიც ტარდება. „ქართველ ქალთა ფორუმმა“ საქართველოდან მოიწვია და დააფინანსა ცეკვის მასწავლებელი, რომელიც ებრაელ ბავშვებს ქართულ ცეკვას ასწავლის.

დღესასწაულები

რელიგიური დღესასწაულები ეწყობა სინაგოგაში, სადაც სპეციალური სადღესასწაულო დარბაზია გამოყოფილი. უნდა ითქვას, რომ ბუხარელ და ქართველ ებრაელებს, გარდა იმისა, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირიდან არიან და ვენაში საერთო სინაგოგა აქვთ, საერთო კულტურულ-საზოგადოებრივი ინტერესები არ გააჩნიათ. ბუხარელები გაცილებით მეტნი არიან, შეძლებულნიც და მსოფლიოშიც უფრო ძლიერი კავშირები აქვთ. ქართველი და ბუხარელი ებრაელები საერთო ღონისძიებებს არ ატარებენ; ერთ-

მანეთის მიპატიჟებაც ამა თუ იმ ღონისძიებაზე ნაკლებად ხდება.

დაბადების დღე, ქორწილი, Brit-Mila, Bat-Mitsva, Rosh-Hashana, ახალი წელი, პასეჟი — ესაა ქართველ ებრაელთა ძირითადი დღესასწაულები.

რა სიმღერები სრულდება დღესასწაულებზე?

საქართველოში ქართველი ებრაელები მხოლოდ ქართულ სიმღერებს უსმენდნენ. ამ სიმღერებს უსმენენ ახლაც ავსტრიაში. როგორც ისინი ამბობენ, „ძველ ქართულ სიმღერებს“ შეემატა ებრაული და ავსტრიული სიმღერები.

ყველა დღესასწაული - იქნება ეს საერო თუ რელიგიური, იწყება ებრაული სიმღერით „ჰავა ნაგილა“ ან ისრაელის სახელმწიფო ჰიმნით. მას მოსდევს ქართული პოპულარული სიმღერები. ხშირად ქართულ სიმღერებში ქართული სიტყვები ებრაული ტექსტით იცვლება და ასე მღერიან მთავის საყვარელ ქართულ სიმღერებს.

ქართული რეპერტუარი შეიცავს ქალაქურ მუსიკას („შალახო“, „ჯანაია“).

ქართული სიმღერების შემდეგ ერთმანეთს ენაცვლება ებრაული, ქართული, რუსული და ევროპული მუსიკა. უცილებელია, მთელი საღამოს მანძილზე 2-3 ებრაული სიმღერა შესრულდეს. დღესასწაულები აუცილებლად მთავრდება ებრაული სახელმწიფო ჰიმნით. ყველა — სტუმარ-მასპინძელი დგება ერთ რიგში და ივრითზე მღერიან სახელმწიფო ჰიმნს.

პასეჟის ოჯახურ დღესასწაულზე (Passach), ებრაული რელიგიური სიმღერები სრულდება. თუ ვინმეს ინსტრუმენტი, მაგალითად, ფორტეპიანო აქვს, მისი თანხლებით ასრულებენ სიმღერებს. მღერიან ყოველ საღამოს, 8 დღის განმავლობაში, როცა მთელი ოჯახი ერთადაა შეკრებილი.

დღესასწაულზე, თუ ოჯახი შეძლებულია, ხშირად იწვევენ ანსამბლებს ისრაელიდან, ან მომღერლებს საქართველოდან. სხვა შემთხვევაში მოწვეულია ადგილობრივი მომღერალი ან ანსამბლი. საკმაოდ პოპულარულია ვენური ანსამბლი „Schalom Band“. ანსამბლის წევრები არიან ქართველი, ბუხარელი, რუსი ებრაელები. მღერიან სხვადასხვა ენაზე. მღერიან ქართულ, რუსულ, ებრაულ, ავსტრიულ, ევროპულ სიმღერებს.

დასკვნა

ქართველ ებრაელებს ბუხარელ ებრაელებთან აკავშირებს მხოლოდ საერთო სინაგოგა ვენაში. რაიმე კულტურული კავშირ-ურთიერთობა მათ არ გააჩნიათ.

ქართველ ებრაელებში კი საქართველოში მიღებული ტრადიციები კვლავ გრძელდება: ყალიბდება ცეკვის ანსამბლი, ოჯახში უსმენენ ქართულ სიმღერებს, დღესასწაულებზე იწვევენ ქართველ მომღერლებს. დღესასწაულებზე იმღერება იგივე რეპერტუარი, რაც საქართველოში. რეპერტუარს დაემატა ებრაული სახელმწიფო ჰიმნი; აგრეთვე ევროპული რეპერტუარი, რომელიც გათანამედროვდა. ყველა დღესასწაული — იქნება ეს საერთო თუ რელიგიური — იწყება ებრაული სიმღერით ან ისრაელის სახელმწიფო ჰიმნით და მთავრდება აუცილებლად ისრაელის სახელმწიფო ჰიმნით.

თარგმნეს მარია ნადარეიშვილმა და ნონა ლომიძემ

The Georgian traditions are still maintained

- a) A dance group
- b) Georgian songs are listened to in homes
- c) Georgian singers are invited to festive occasions

On Holidays the same repertoire is performed as in Georgia. The repertoire is supplemented by the Israeli State Anthem as well as a modernized European repertoire.

All the holidays, both secular and religious begin with a Jewish song or the Israeli State Anthem and are to be ended with the Israeli State Anthem.

References

Bohlman, Philip V. (2005). Abraham Zvi Idelsohn and the Reorientation of Jewish Music History. In: Schüller, Dietrich (ed.). *Sound Documents from the Phonogrammarchiv of the Austrian Academy of Sciences. The Complete Historical Collections 1899-1950. The Collection of Abraham Zvi idelsohn (1911-1913)*. Series 9. (pp. 18-51) Wien: Verlag der Österreichischen Akademie der Wissenschaften.

Csáky, Moritz. (2004). Die Mehrdeutigkeit von Gedächtnis und Erinnerung. In: Kreis, Georg (ed.). *Erinnern und Verarbeiten. Zur Schweiz in den Jahren 1933-1945*.(pp.7-30) Basel: Schwabe Verlag.

Galibov, Grigori. (2001). *Die Geschichte der bucharischen Juden in Wien*. (= Martischnig, Michael (ed.). *Zeitzeugnisse* 4). Wien: Österreichischer Kunst- und Kulturverlag.

Kejda, Rosemarie. (1995). *Die Buchara-Juden in Wien. Ehemalige Sowjetunion – Israel – Wien*. Phil. Diss. an der natur- und geisteswissenschaftlichen Fakultät der Universität Wien.

Seroussi, Edwin. (2005). The Content and Scope of Abraham Zvi Idelsohn's Recordings". In: Schüller, Dietrich (ed.). *Sound Documents from the Phonogrammarchiv of the Austrian Academy of Sciences. The Complete Historical Collections 1899-1950. The Collection of Abraham Zvi idelsohn (1911-1913)*. Series 9. (pp. 52-57) Wien: Verlag der Österreichischen Akademie der Wissenschaften.